ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 143

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 402314170) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 402314170) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2230.2527 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 402314170), 2026 წლის პირველი იანვრიდან, ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის სეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე